

ახალი ლექსები

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№12 (74) მარტი, 2009 წელი

ფასი 30 თეთრი

შეხვედრები

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და გამგეობამ მოსახლეობასთან შეხვედრები თვენახევრის წინ დაიწყეს. ამ შეხვედრების უპირველესი მიზანი, მუნიციპალიტეტის მცხოვრებთათვის საკრებულოსა და გამგეობის მიერ 2008 წელში გაწეული მუშაობის გაცნობა და სამომავლო გეგმების გაცნობა გახლდათ. ასევე იგრძნობოდა, რომ ჩვენი მოსახლეობა დაინტერესებული და აქტიურია, როცა საქმე მათი ტერიტორიული ერთეულის ცხოვრების რიტმს ეხება.

მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს თავკაცები თითოეულ შეხვედრაზე გარდა იმისა, რომ ანგარიშს აბარებდნენ თავიანთ ამომრჩეველებს, სთხოვდნენ მათ გამოეხინათ აქტიურობა და დაეფერებინათ ის საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით აწუხებდათ და მათ. მართალია, პრობლემები ბევრია და შესაძლებლობები კი შედარებით მცირე, მაგრამ სახელმწიფო ყოველთვის ცდილობს მიზანმიმართულად წამოწიოს წინა უმთავრესი და პრიორიტეტული თემები, იზრუნოს მათ განხორციელებაზე. ჩვენ შევეცადეთ მაქსიმალურად გვედევნებინა თვალი ამ შეხვედრებისათვის და დღეს ორბელის თემის მაგალითზე მოვიტოვრობთ თუ რამდენად ეფექტური და შინაარსიანი იყო ასეთ ტიპის შეხვედრები.

შეხვედრა ორბელის საჯარო სკოლის დარბაზში 13 მარტს გაიმართა. მას ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ომარ ჭაბუკიანი და სხვა პასუხისმგებელი პირები ესწრებოდნენ, ორბელის თემში შემავალ სოფლების მცხოვრებნი და ბავშვებიც კი აქტიურად იყვნენ ჩართული თავიანთი თემის, საზოგადოებრივი ცაგერის მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარების დაგეგმარების საკითხებში.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონმა ომარ ჭაბუკიანმა თვის ანგარიშში აღნიშნა ის ძირითადი პირობები, რომელიც განხორციელდა ჩვენი მუნიციპალიტეტის სინამდვილეში. აღინიშნა, რომ 2006 წელთან შედარებით ბიუჯეტი 2064,9 ათ. ლარით გა-

იზარდა, საქართველოს პრეზიდენტის დადგენილებით მუნიციპალიტეტის 59 სოფელში განხორციელდა ადგილობრივი გზების აღდგენა, 12 სოფლის წყალმომარაგება, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების, კულტსაგანმანათლებლო ობიექტების აღსადგენად, კაპიტალური რეაბილიტაცია ჩატარდა სარაიონო სასამართლოს, 140 ათ. ლარზე მეტი დაიხარჯა სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციაზე, პრეზიდენტის ფონდიდან 700 ათ. ლარი გამოიყო და მიმდინარეობს ცაგერის წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობა. გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა მოსახლეობის სოც. დაცვის მიზნით. 2008 წელში დახმარება

გაეწია 191 ადამიანს, სულ თანხობრივად 81,5 ათ. ლარს შეადგენს. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა უმუშევრობის რიცხვთა შესამცირებლად, შეძენილი იქნა მძიმე ტექნიკა და სხვა. აქცენტი გაკეთდა ასევე იმ ნაკლოვანებებსა და გადაუჭრელ პრობლემებზე, რაც სამწუხაროდ ისევ შეინიშნება მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს მუშაობაში, დაიხატა მათი გადაჭრის გზები.

რადგან შეხვედრების მაგალითად ორბელის თემი მოგვიყვანეთ, მკითხველს ვთავაზობთ ამ თემში 2008 წელში განხორციელებულ სამუშაოებს:

1. ნაპირსამაგრი სამუშაოები
2. გაკეთდა გზები
 - ა) ზედა ორბელში
 - ბ) ლაში თავში
 - გ) წილამიერში
 - დ) კურცოლში
 - ე) ქოლბანში
 - ვ) სუნანიერში
3. გაკეთდა წყალსადენები:
 - ა) ლაშითავის დასახლებაში
 - ბ) სოფლის ცენტრში
 - გ) სკოლის უბანში
 - დ) ღვინის ქარხნის დასახლებაში
 - ე) გუგუშიერში

(დასასრული გვ. 2)



მარიკა ბარათაშვილი დედას

რარ გაგიჭოლოდი, უკვე აღარ
მეუწხოვება
შენი ფარდები (არარ გვყირფება
უკვე მსტოვარი)...
მოგვცა როლოები რეჟისორმა—
თავად რხოვრებამ,
მსგავსი რეპლიკით, მიზანსწენით
და სიყვარულით.
ფედას რა უნდა? ო, მყირედი,
ძაღვზე მყირედი—
ორი სტრიქონი (მეცს, ფედეზი
არარ კი ნატროზენ).
ეს რომ იწოდნენ... არ იყიან,
არა, შვილებმა,—
რა რიგ ძნელია როცა ფარდი
დაგიმარტოვებს.
მიმწხნრზე მარტო რომ შემორჩი
შენი ცკივილით,
ამ საწყხარით გოლოგოთაზე
ბევრჯერ ახვედი...
ვარ ჩამოგართვი მყირე ზოხჩარ
იმ სიმძიმისილს...
და ახლა დამაქვს სინანული
ნავგვიანევი.



ქართული ენის დედა მარტო მშობლი
აბ აბის. ქართული ღვიძლ ენასაც დედას
ეძახის. უფროს ქალაქს—დედაქალაქს.
მუიერბსა და დიდ ზოდს ხალხისას—დედაზოდს
და უმაგბრს ზუბრას—დედა ზუბრას. სამთავრბ
აბბს—დედააბბს. ბამდინად განდიდებულა
მნიშვნეულბმა დედისა, ბამდინად
გამბაზალგვარბული, გაპაფიბსნებული და
გამლიერბული, გაღბნიერბული და
თავბმსაწბნიერბული!.. სიდიდრ, სიმაგბრ და
სიბუიერბრ კი აღბმბნულა დედბმით. ამაბრ
მუფი პაფივი ბა უნდა მთუფანბს სასილბმა?
სიფყა ქალი განა ბმდინს გუფყის, ბასაც
გუფმბრბა დედა და მასთან ებთად კაცი.

ილია ჭავჭავაძე

ქალბატონებო!

ისე როგორც საქართველოში, ლეჩხუმშიც, ჩვენდა სამწხაროდ, დარღვეულია გენდერული ბალანსი.

გასულ წლებთან შედარებით ნაკლებად ჩანან ქალები სახელმწიფო სტრუქტურებში, სხვადასხვა სფეროებსა და უწყებებში წამყვან თანამდებობებზე.

ძვირფასო ქალბატონებო! იაქტიურეთ! ქვეყანას ჰაერივით სჭირდება თქვენი ნიჭი და შემართება, ქალური სიფხიზლე და ინტუიცია, სიტბო, კეთილსინდისიერება და პასუხისმგებლობა!

სოფელი

„ახალი ლენხუმი“ ერთ-ერთი, ლენხუმში საკმაოდ დიდ სოფელს, ორბელს ესტუმრა. შევეცადეთ გავგეგოთ რა პრობლემები აწუხებს სოფელის მოსახლეობას, რა გაკეთდა ახლო წარსულში აქ და რა იგეგმება სამომავლოდ. ნომრის სტუმარია ორბელის თემის რწმუნებული ბატონი გია გოგებაშვილი. მასთან სუბარში ნამდვილად იგრძნობა, რომ ბატონი გია თავის სოფლის გულშემატივარია, მიზანდასახული ხელმძღვანელი.

ორბელისა- ჯიორბელისა

— ბიოგრაფია: გია გოგებაშვილი დაიბადა 1964 წელს სოფელ ორბელში, დაამთავრა ორბელის საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა განაგრძო ქალაქ ქუთაისში, მუშაობდა სხვადასხვა სამსახურებში. ერთი წელია მუშაობს გამგეობის რწმუნებულად ორბელის თემში.

— ბატონო გია, თქვენს სახელმძღვანელოდ საკმაოდ ვრცელი ზონაა, რომელ ტერიტორიებს მოიცავს აღნიშნული ზონა და რა რაოდენობის მოსახლეობას ხელმძღვანელობთ?

— ორბელის თემი მართლაც არ მოიცავს ერთ კონკრეტულ სოფელს, მასში შედის ორბელი, ლაჯანა, ნილამიერი, კურცობი, გაგულეჩი. მოსახლეობის რაოდენობა კი დღეის მონაცემებით 850 კომლს შეადგანს.

— უკვე საკმაოდ დრო გავიდა, რაც თქვენ გამგეობის რწმუნებული ბრძანდებით თემში. რა გაკეთდა ამ ხნის მანძილზე ორბელის თემში?

— თითქმის წელიწადია, ორბელის თემის რწმუნებული ვარ. აქაური პრობლემები ჩემთვის, როგორც აქ დაბადებული და გაზრდილი ადამიანისათვის, აქამდეც არ ყოფილა უცხო, თუმცა, რატომ უნდა, ამ ხნის მანძილ-

ზე კიდევ უფრო გავეცანი სოფლის მდგომარეობას, მის ჭირსა თუ ლხინს. საკეთებელი რატომ უნდა ბევრია, ეს მხოლოდ ერთ და ორ წელიწადში მოგვარებადი ნამდვილად არაა, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ გულხელდაკრეფილი ამ ხნის მანძილზე ნამდვილად არ ვყოფილვართ, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ხელშეწყობით შევძელით სოფელში შეკეთებულიყო შიდა გზები, რაც ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა გახლდათ

ყოველთვის აქაური მოსახლეობისათვის, გარემონტდა ორბელის საექიმო ამბულატორია, ადმინისტრაციული შენობის ფასადი, ლაჯანის ბაგა-ბალი, გადაიხურა საერთო საცხოვრებელი სოფელ ლაჯანაში.

უკვე ფუნქციონირებს გარე განათება ბევრ უბანში. გაკეთდა წყალსადენი სოფელ ნილამიერში, გაგულეჩში, ზედა ორბელში, სკოლის უბანში და ზოგიერთ სხვა უბანში. განახლდა ლამისათვის წყლით მომარაგების ავზები. გაკეთდა ხიდები, მათ შორის გოჯედანის ლელეზე, გაუმჯობესდა ნაპირსამაგრი მდინარე ლაჯანურზე, აღსდგა ორბელის ბიბლიოთეკის მუშაობა, აქვე შემოტანილია კომპიუტერები. ლაჯანურის ხეობაში მუშაობს ტრაქტორი, ე. წ. კატეფილარი, რომელიც ბევრ პრობლემებს აგვარებს.

სოფლის თითოეულმა ოჯახმა ახლახან მთავრობისაგან დახმარების სახით მიიღო სასუქი, აზოტოვანი გვარჯილა, რომლის დარიგებაც დასრულების პროცესშია.

— ბევრია ახალგაზრდობა სოფელში, ალბათ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა აქ მათი დასაქმებაა?

— რატომ უნდა, სამწუხაროდ ჩვენ-

თან იმდენი დაწესებულება არ არის, რომ ახალგაზრდები ისე და იმ რაოდენობით დასაქმდნენ, როგორც ისინი იმსახურებენ და საჭიროებენ. ორბელის საკრებულოში 9 შტატი დაიშვა და ცხრავეთი დავასაქმეთ აქაური მოსახლეობა, მართალია ანაზღაურება დიდი არ არის. ახალგაზრდობის ნაწილი ცაგერში, სხვადასხვა დაწესებულებებში დასაქმდა. ეს ძალიან კარგია, თუმცა ბევრი ისევ საჭიროებს სამსახურს და დასაქმებას, რათა სოფელი შენარჩუნდეს, არ გაედინოს ახალგაზრდობა აქედან.

— რა არის ის კონკრეტული პრობლემები, რაც სოფელს გააჩნია დღეისათვის და რის მოგვარებასაც სამომავლოდ გეგმავთ?

— სოფელში უამრავი რამ არის საკეთებელი, უნდა გაგრძელდეს შიდა გზების რემონტი, კვლავაც უნდა გაგრძელდეს წყალსადენების გაახლება, ლაჯანაში არის წყლის პრობლემები, რომლებიც მოსაგვარებელია, დაზიანებულია მილსადენები, დაზიანებულია საცავი, რაც სასწრაფოდ გასანმენდია, მიხედვას საჭიროებს ორბელის ღვინის ქარხნის მიმდებარე ტერიტორია. კურცობს აქვს პრობლემა ასევე წყალზე, ხალხის მოთხოვნაა და შემოსაღობია ლაჯანის სასაფლაო.

კვლავაც არის უბნები, სადაც უნდა დამონტაჟდეს გარე განათება.

მოსახლეობის მოთხოვნაა ტრანსპორტის გაიფება, რაც მათთვის საკმაოდ ძვირია,

გასანმენდია გოჯედანის ღელის კალაპოტი. ღელე დატბორვის საშიშროებას უქმნის 50-60 ოჯახს.

გამოყოფილია სოფლისათვის თანხა 8221 ლარის ოდენობით, რომელიც მოსახლეობის გადანაწევტელებით პატარა ტაძრის მშენებლობისათვის დაიხარჯება.

მოსახლეობა ითხოვს უფლებას სამასალე ხის და ჭიგოს მოჭრისთვის პირადი მოხმარებისთვის.

ეს კიდევ არ არის სრული ჩამონათ-

ორბელის თემში



ვალი იმ პრობლემებისა, რომელიც გააჩნია სოფელს და რომელთა გაუმჯობესებისათვის ჩვენ მცდელობას არ ვაკლებთ, იმედია, ახლო მომავალში ბევრი რამ მოგვარდება.

— გაზაფხული დადგა, მალე კურორტ ლაშიჭალის სეზონიც დადგება და დამსვენებლებიც გამოჩნდებიან. აქ ყოველ გაზაფხულზე დგება გზის პრობლემა, რა მდგომარეობაა ახლა და იქნება თუ არა დამსვენებელთათვის გზა დროულად?

— დიას, პრობლემა ახლაცაა. ლაშიჭალა რატომ უნდა მშვენიერი კურორტია, მაგრამ იგი ერთგვარი ასრესებობის წყაროც კია ჩვენი მოსახლეობისათვის, აქ სხვადასხვა საჭიროებას იგვარებს მშრომელი ადამიანი, ამდენად, გზა ყოველდღიურად საჭიროა მათთვისაც. რატომ უნდა, გზა მალე უნდა აღდგეს, რათა მოსახლეობასაც გამოადგეს და დამსვენებელიც დროულად მივიღოთ.

იმედი მაქვს, ყველა პრობლემა დროულად მოგვარდება რათა სოფლის მოსახლეობას გაუმჯობესდეს ცხოვრების პირობები, რისთვისაც მე ჩემს ძალებს არ დავიშურებ.

გმადლობთ. წარმატებას გისურვებთ!
თამარ ღაპითილიანი

უფსუღრუბი

(დასაწყისი გვ. 1)

ვ) გუგუშირში დამოუკიდებელი წყალსადენის გამოსაყვანად დამატებით გამოიყო საჭირო რაოდენობის მილი.

ზ) შლანგი გამოეყო ზედა ორბელს, წილამიერის და გაგულეჩს,

4. დაიხრეშა გზები კინიშერის უბანში

5. ინტერნატის დასახლებაში გაიწმინდა არხი

6. გაკეთდა განათება ლაჯანასა და ორბელში

7. ინტერნატის დასახლებაში კეთილმოწყობილი გახდა გზა.

8. ტერიტორიული ორგანოს შენობისათვის დაიხარჯა 17 ათასი ლარი, წელს დამატებით დაიხარჯება 20 ათასი ლარი.

9. აღდგა სტიქიით დაზიანებული ორი ხიდი, მესამე შეკეთდა

10. შეკეთდა ბიბლიოთეკა, დაიხარჯა 2000 ლარი, აღიჭურვა კომპიუტერებით

11. შეკეთდა და ახალი ინვენ-

ტარი მიიღო საფერშლო-საბებიო პუნქტებმა.

12. ორბელის უბანს არ ჰყავდა ექიმი და ინიშნება

13. ტერიტორიულმა ორგანომ მიიღო ერთი სახნავი ტრაქტორი

14. დარიგდა დიზელის საწვავი

15. ყველა ოჯახი მიიღეს თითო ტომარა სასუქს

16. დარიგდა ფქვილი

17. გაიხსნა და მუშაობს უმწეოთა სასადილო, კვებაზეა აყვანილი 30-მდე ადამიანი

18. შეკეთდა ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ლაჯანაში.

19. შეკეთდა ბაღი ლაჯანაში

20. წელს შეკეთდება კიდევ ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ლაჯანაში

21. აღვადგინეთ მედლების საშტატო ერთეულები

22. გარემონტდა ორბელის სკოლა

23. წელს რემონტდება ლაჯანის სკოლა—გამოყოფილია 85 ათასი ლარი

მიუხედავად გაკეთებულისა, მოსახლეობამ არა ერთი საკითხი დააყენა, რომელიც აუცილებელ გადაწყვეტას მოითხოვს: ბევრ უბანს ისევ გადაუჭრელი აქვს წყალმომარაგება, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს გლეხისათვის ჭიგოს მოჭრის ნებართვის გაცემას, ზოგიერთ უბანში მისასვლელი გზა ისევ არ არის, საჭიროა დაიწიოს მგზავრობის ფაშებმა და ა.შ. აღნიშნულ საკითხებზე ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და საკრებულომ მათ დახმარება აღუთქვეთ.

შეზვედრები ისევ გრძელდება, თითოეული მოქალაქის აქტიურ თანამშრომლობას შეუძლია პრობლემები ყველამ ერთობლივად მალე დავეძლიოთ.

მარინა სპანიძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო სამსახური



ნეხილი ჰედაქციას

ძვირფასო რედაქცია!

ბევრს მშვენივრად გვახსოვს ცაგერი—ქუთაისის კეთილმოწყობილი საავტომობილო გზა. 70 კილომეტრიანი ამ მონაკვეთის გავლას ნებისმიერი მსუბუქი მანქანა 40-45 წუთს ანდომებდა. მაგრამ ეს იყო 10-15 თუ ცოტა მეტი ხნის წინათ.

ახლა გზა ავარიულია. ჩვენი რელიეფისა და კლიმატის გამო ყოველი ზამთრის შემდეგ კიდევ უფრო ზიანდება. მიმდინარე რემონტი კი ვერ უზრუნველყოფს მის ნორმალურ შეკეთებას.

წლის დასაწყისში, როცა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გზების რეაბილიტაცია დაიგეგმა, თუ არ ვეცდებით, ქუთაისი—ცაგერის გზაც მოიხსენია. მას შემდეგ აღარაფერი გვსმენია. გვაინტერესებს არის თუ არა გეგმაში ზემოთხსენებული გზის რეაბილიტაცია. გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მოგვწეროთ მონოდებული ორგანიზაციების კოპეტენტური პასუხი.

მგზავრი

რედაქციისაგან: ძვირფასო მკითხველო! პასუხს თქვენს კითხვაზე მომდევნო ნომერში მოგაწვდით.

სასიამოვნო სიასდა

საქართველოს სკოლებში რეფორმის გატარებამ, ჩემი აზრით, დადებითი შედეგი გამოიღო. ეს განსაკუთრებით აისახა მუსიკის სწავლებაზე.

მუსიკის გაკვეთილები საკმაოდ მდიდარი და პროფესიული პროგრამით დაიტვირთა, რასაც აუცილებლად პროფესიული მასწავლებელი უნდა ასწავლიდეს.

ოყურეშის საჯარო სკოლაში, როცა კარს შეაღებ, აუცილებლად თვალში მოგხვდებათ არაჩვეულებრივად მოწესრიგებული სასწავლო გარემო. რომელსაც ქმნის

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ბატონ რომან მუშკუდიანის ხელმძღვანელობით. ის თურმე დიდხანს ეძებდა მუსიკის მასწავლებელს, რომელიც შორ მანძილზე ივლიდა და რომელსაც პროფესიული განათლება ექნებოდა, რადგანაც სკოლის ყველა პედაგოგი ასეთი პროფესიონალიზმით გამოირჩევა. ბატონმა რომან მუშკუდიანმა მიმიწვია მუსიკის მასწავლებლად. არასოდეს დამავიწყდება მათთან გატარებული თითოეული წუთი და საათი, კოლეგიალური დამოკიდებულება კოლექტივის შორის. მე ჩემი ჩვეული ენთუზიაზ-

მით შევუდექი მუშაობას. გადაწყვიტე მათთვის დედის დღე მიმელოცა და სკოლაში პირველი აკორდი ამელო ჩემს მოსწავლეებთან ერთად. ისინი მოუთმენლად ელოდნენ სამი მარტის მოსვლას, დარბაზი გაივსო მსმენელებით, სკოლის კედლებში არაერთი სიმღერა აჟღერდა დედაზე, გაზაფხულზე, საქართველოზე. პედაგოგები სიხარულისგან ტიროდნენ, რადგან „ხელოვნებაა თვით უკვდავება“ და რომ მუსიკის გარეშე არ არსებობს არცერთი საქმე, რომელიც სრულ სიამოვნებას მოგანიჭებს. ისინი აღფრთოვანებულნი დარჩნენ იმ პროგრამით, რომელიც მე წარვადგინე ასე მცირე დროში. ამ-

ოყურეშის საჯარო სკოლაში

დენ ხანს აუშლებელი ბავშვები ავამღერე და კიდევ უფრო გავალამაზე ოყურეშის ისედაც ლამაზი სკოლა, სულიერად და ფიზიკურად ლამაზი პედაგოგებითა და ბავშვებით.

მადლობთ, თქვენ ბატონო რომან, რომ იმის გარემოს ქმნით სკოლაში, რომ ყველა პედაგოგმა თავისი საქმე აკეთოს და თუ ყველა თავის საქმეს გააკეთებს, ჩვენს ლამაზ და ძლიერ საქართველოს ასე ადვილად ვერავინ წააქცევს და ვერავინ მოერევა.

იზა ხატიურიანი

გაზაფხული-სამეფო ცაცხე ჯღი

12 მარტს ცაგერის მეთაურმა ბიბლიოთეკამ სამკითხველო დარბაზში მოაწყო გაზაფხულის დღესასწაული—

„მალე გაზაფხული მოვა,
მალე გაზაფხული დგება,
მოდის ყვავილების გუნდით
სამეფო ტახტზე ჯდება“

გაზაფხულის სუნიქვა, იის და სიყვარულის სურნელი იფრქვეოდა ლამაზად მორთულ დარბაზში, სადაც მოეწყო გამოფენა „ქალი მსგავსი გაზაფხულის“.

ლონისძიება მიჰყავდა ქალბატონ მანანა გოგიძეს, რომელმაც თბილი სიტყვები არ დაიშურა ახალგაზრდა მრავალშვილიანი და ტყუპი შვილების დედებისათვის, ახალდაქორწინებულთათვის, ღვანლმოსილი ქალბატონებისთვის, ქალაქის კოლორიტათვის, საზოგადოდ ქალისთვის, სიცოცხლის სანყისთვის. გაზაფხულის შემობრძანება მიულოცა, ქვეყნის მთლიანობა, ახალგაზრდული შემართება, ოჯახში სიკეთე და სიმრავლე, ქალური ხიბლი და ბედნიერება უსურვა თითოეულს.

დედათა და ქალთა დღე მიულოცა დამსწრეებს კულტურის, სპორტის,

ახალგაზრდული სამსახურის დირექტორმა გიორგი გუგავამ, მეთაური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ნანული სადილიანმა, ქალბატონებმა ჩიტო ჩაკვეტაძემ, საშა ჩაკვეტაძემ, ძაძუ ახვლედიანმა, ანსამბლ „სალალობის“ ხელმძღვანელმა ზაზა ყურაშვილმა.

დარბაზში ირხეოდა ტკბილი ჰანგები, ქალბატონებს გაზაფხული სიმღერით მიულოცეს კულტურის სახლის ვაჟთა ანსამბლმა „სალალობა“. რუსუდან ყურაშვილის აკომპანიმენტით სმენას ატკბობდა ქალთა ანსამბლი „საპოვნელა“, გულო გოლეთიანისა და ვალიდა ბენდელიანის მიერ შესრულებული მუსიკალური ნომრები, მხატვრულ კითხვაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ნატო სილაგაძე, დარეჯან სალინაძე, პატარა მარიამ სალინაძე.

დასასრულს კულტურის სამსახურმა დარბაზში მყოფ ყველა ქალბატონს სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

იყო ყვავილები, იყო სიმღერა, ლექსი, უამრავი ღიმილი, კეთილი სურვილები, იმედი ხვალის და ქალი სიცოცხლე და გაზაფხული.

ქალი სილამაზე და სიყვარული...

ისევ სასაფლაოს შესახებ მოწიწება გვმართებს

სასაფლაო... სავანე წმინდა, რომელსაც მოწიწებით, მოკრძალებით, სიყვარულით უნდა მოეფერო, მოუარო, სანთელი აანთო, ცრემლი დაღვარო...

სასაფლაო... სამუდამო განსასვენებელი ჩვენი, იდუმალი, ქვაში განსხეულებული ჩვენი ახლობლები, მეგობრები, წინაპრები...

სასაფლაო... მღუმარე და ღვთიერ კურთხეული—აქ ყვავილები სხვანაირად ყვავის, სხვა ფერი აქვთ, მიწის სურნელიც სხვანაირია...

სასაფლაო... შვილის საფლავს ჩახუტებული დედით, სანთლებით და სულის შემძვრელი მოთქმით.

ქალაქის სასაფლაო, რომლის შუაგულში ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი დგას, ნამდვილად არ არის დაუცველი, მოუვლელი. ჩვენმა გაზეთმაც არა ერთხელ აღიმალა ხმა ამ მიმართულებით. სასაფლაოს ირგვლივ საიმედო ღობე აკრავს, აქვს ორი ჭიშკარი, ეწყობა სასაფლაოს დასუფთავება, უპატრონო საფლავების გაწმენდაც, მაგრამ...

ამასწინათ ახლობლის საფლავთან შეგროვილებმა შევნიშნეთ, რომ არა ერთი საფლავის გალანის კარი ღია იყო და პირუტყვი პირდაპირ მიცვალებულთა გულზე ძოვდა, ძოვდა კი არა, გვაპატიონ ჩვენი მიცვალებულების სულებმა და ბევრი საფლავი წაბილწული იყო.

ღიახ, როგორც ზემოთ ვთქვით, სასაფლაოს ტერიტორია ნამდვილად შემოღობილა, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც სპეციალურად უშვებენ საქონელს სასაფლაოს ტერიტორიაზე.

ეს რბილად რომ ვთქვათ სირცხვილია, არ გვეკადრება, მაგრამ რაკი ასეა და რაკი ბევრს არ გაგვანჩია ელემენტარული შინაგანი კულტურა, ვთხოვთ ქალაქის ხელმძღვანელობას, კეთილმოწყობის სამსახურს უმკაცრესი კონტროლი დააწესონ სასაფლაოს მოვლა-პატრონობაზე, გამოვლენილ დარღვევებზე კი მიიღონ ადეკვატური ზომები.

ა. გურული

კონფერენცია

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მოეწყო თეორიული კონფერენცია სახელწოდებით—„რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში“.

კონფერენცია გახსნა კულტურის, სპორტის და ახალგაზრდული სამსახურის ხელმძღვანელმა გოგიტა გუგავამ.

მთავარმა მომხსენებელმა ცაგერის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა დარეჯან გასვიანმა წარმოადგინა მისივე მოსწავლეები საკონფერენციო თემებით—„მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში“, „სოციალური და დემოგრაფიული ექსპანსია“, „საქართველოს ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მიერ—1921 წ. 25 თებერვალს“, 2008 წლის აგვისტოს მოვ-

ლენების ანალიზი“

კონფერენციაში ჩაერთო და თავისი მოსაზრება გამოთქვა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ბატონმა გოგი კვირკაშვილმა.

ერთობლივი ღონისძიების მომზადებისთვის, ბიბლიოთეკის გვერდით დგომისა და დახმარებისთვის ყველა მონაწილეს და უპირველეს ყოვლისა მთავარ მომხსენებელს დარეჯან გასვიანს, ცაგერის საჯარო სკოლის დირექტორს ნუნუ ჩაკვეტაძეს, მოსწავლეებს—ნანა მურცხვალაძეს, მარი მეშველიანს, ლევან კოპალიანს, ნინო ხმელიძეს, ნანა ლეთოდიანს მადლობა გადაუხადა ქალბატონმა ნანული სადილიანმა.

ეკა გენდელიანი

ყ თ ჩ ი უ ა ბ რ ა მ ი ნ ი ა წ უ რ ბ ა

ადრეულ გაზაფხულზე ამოუცათ სთლმე თავს მიწიდან,— თთულის სათაბრულიდან.

მეზბძის წიმი, ძაბი, სუსხი, მაგბამ ურბათებს მალომენ. დიდხანს, დიდხანს ჯდგაფა ასე პიბის-პიბ, მაგბამ ბა ჩიბაა გაბმიან წუთები...

სუსხი ისე მაწეუს გულზე, ბამ ჯღინდები და მინდა თაბრა აზხად მთული დედამიწის გულს, მთვაცილთ თთულის სიმბიძე და ლაღად, ამაყად გამთვარინი ჩიმი წითულთუტლთვანი ყვავილი.

უთიბბამ: მაინც ბაა სიცთცლო? კეთილისა და მბბბბის ჩიბილი?!

პილოცავთ!

გაზაფხულია, მარტი, დედისა და ქალის თვე. გვინდა ყველა ქალბატონს მოგილოცოთ მოგეფეროთ, დღეგრძელობა და სიხარული გისურვოთ.

გვინდა გამოვყოთ ჩვენი ღვანდმოსილი ქალბატონები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომელთაც ბევრი რამ გააკეთეს ლეჩხუმისთვის. მათი ცხოვრების გზა—ესოდენ ლამაზი, ესოდენ ღირსეული, ესოდენ დატვირთული—მაგალითია ჩვენთვის, ჩვენი ახალგაზრდებისათვის. თითოეულ მათგანზე ბევრი რამ შეიძლება ითქვას, ბევრი დაინეროს და იქნებ ვერც ამით შევაფასოთ მათი ნაღვანი.

ამიტომ უბრალოდ ვულოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს ჩვენს საამაყო ქალბატონებს:

მარიამ გამსახურდიას, ნათელა ხეცურიანს, საშა ჩაკვეტაძეს, ნორა ჩაკვეტაძეს, ოლია გაბადაძეს, ლედი ხაბულიანს, ნორა ახვლედიანს, ეთერ ბერიძეს, ლამარა ბერიძეს, რუსუდან ახვლედიანს, ძაბუ ახვლედიანს, ბაბუცა ბაქრაძეს, ლამარა დოლიძეს, შუქურა ქარსელაძეს, ნათელა ქარსელაძეს, ლამარა კაჭკაჭაშვილს, თინა სალინაძეს, ძაძუ ჩხეტიანს, ნორა მამარდაშვილს, მაყვალა დაშნიანს, გოგუცა სვანიძეს.

გვაპატიეთ! ამ ჩამონათვალში ბუნებრივია, ყველა ვერ მოხვდა. ყოველი თქვენთაგანი გვახსოვხართ და გვიყვარხართ!

თქვენი რედაქცია

გასწოვდეს შენც ფელ სან!

ირემივით მოხდენილი და ყელმოღერებული ახალგაზრდა, ლამაზი მოხიდარ, მოაგორებ თეთრ ეტლს, შიგ კი ცისფერებში გაღულუნებული პანია ჭყლოპინებს. ზამთარია, თეთრი ზამთარი. გვერდით პატარა გოგონაც შველივით მოგდევს, კობტად მორგებულ გრძელ მოდურ ტყაპუჭში გამონყობილი და რა ლამაზები ხართ, რა მშვენიერები. გამვლელ-გამომვლელი სიამაყით თვალს გაყოლებთ, შემოგხარით.

დედა ხარ და რაოდენ დიდ სიხარულს, დიდ სიამაყეს განიჭებს დედობა. რატომ? ძნელია ამის ახსნა. შენი სხეულიდან წარმოქნილმა ამ პატარებმა რამდენი ენერგია და უძილო ღამე წაიღეს შენგან, სანაცვლოდ კი მოგიტანეს პირველი ალუ, შემოცინვა და შემოჭიკჭიკება, გატირება... თუკი ერთი წუთით მიატოვებ. შენია და აი ეს „შენობა“ გალაღებს, უსასრულო ბედნიერებას განიჭებს.

და იცი, ჩემო ახალგაზრდა, მშვენიერო ქალო, ყველა დედას მეტნაკლებად თავისებური ტანჯვა რომ აქვს გადატანილი და სიყვარული და ბედნიერება აქვს ნაგემები, თავისი პირმშოს სიცოცხლით მინიჭებული! იცი ახლა, ის ხანშიშესული შინ რომ დატოვებ, შენ რომ

უცხოვდ და ვილაც შორეულად გეჩვენება, იმდენად შორეულად, რომ ამბავიც არ დაუტოვებ, სად და რატომ მიდიხარ, ფანჯარას მოადგა, მალულად თვალი გამოგაყოლა... ნეტავი შეგეხებათ როგორი იყო ეს გამოხედვა—ნაღვლიან-სიყვარულიანი, თქვენი სიკეთისა და მომავლის მლოცველი, გულწრფელი, ღვთაებრივი. და ის ხანშიშესული არცთუ ისე მოხუცი, შენ რომ გგონია, სამოცდაათ მიტანებული, შეჭალარავებული, სუსტი საამო ქალი, ეკლიან-გზაგამოვლილი, უამრავი ჭირის მნახველი, შენზე უკეთესი, თორემ არანაკლებ თვალმისატანებელი დედა იყო, როცა მასაც შენებრ პანიები ჰყავდა. უყვარდა, ეალერსებოდა, სტიკოდა, აჩენდა, ითმენდა, ღამეს ტეხტა იმ სიხარულისათვის, იმ ბედნიერებისათვის, რომელითაც შენ ახლა ხარობ—შვილებისათვის, მომავლისათვის.

დახედე მის ხელებს, ნაჯაფარ ხელებს, ხელები კი არა, ხაზებია, ეს გაუხეშებული ხელისგულები მთელი ისტორიაა, ისტორია ქართველი ქალისა: ველში გუთანს რომ გამართავდა, ზვარში ვენახს რომ გასხლავდა, ნისქვილში საფქვავს ჩაახვავებდა, თონეში შოთებს ამოაკრავდა,

შვილ-ბადიშებს აკვანში დარზრდიდა, უაზრო სისხლისღრვამდე მისულთ შუაში მანდილით ჩაუხტებოდა, მტერს ხმლითა და მოყვარეს პურ-ღვინით დახვედრას აროდეს დაზარდებოდა, ცხრა ვაჟიშვილს მამულის დასაცავად გაისტუმრებდა და ვინ იტყვის დედას გული არ ეწვოდაო, მოკლული მტრის დედისთვის სამძიმრის სათქმელად გულადულებულს... რამდენი ცრემლი შეუნმენდ-შეუშვრია დედის ხელებს!.. ხელები? რა ხელები... ვაი თუ, წარსულის „უკანასკნელი მოჰიკანია“ ეს დედა თავისი საოცარი ხელებით. ჩემო ახალგაზრდა ქალო, უფლება არა გვაქვს არ მოვუაროთ, არ მოვესიყვარულოთ, პატივი არ ვცეთ! დრო აშუშებს ძველ ტკივილებს, მაგრამ ვაი, რომ ახალსაც გამოუღვევლად გვთავაზობს... რომელი ერთი სატკივარი გაიხსენოს რთულცხოვრებაგამოვლილმა ქალმა, რა ვიცი რა იქნება მომავალში, მაგრამ წარსული ანმყოს არა ჰგავს, სულაც არა... წარსული მძიმე იყო.

დედაშვილობის სიყვარული? ვაი, თურმე ეს სიყვარული, ძალისა ყოფილა.

ჩვენი ქალების შემოქმედება

უსუსური გარდი

რკინის ღობეს მიუჯდევას ღამის პანანინა უსუსური ვარდი.

გამვლელსაჲ და გამოძვლელსაჲ თითქმის აღარაა აქვთ იმ პატარას ფარდი.

ქარისაგან გაღალტულ ღობეს

სურს ვარდს ნეკნები რომ ჩაუძვრიოს,

სიძლიერით გააყუჩებულს კი

სურს უმწეოს, უძლურს მოერიოს.

მაგრამ აი, ქარმაჲ არ დაინდო

და ნოხივით დაფინა მინას,

ვერ გაუძლო ღობემ ქარის ჭიდილს

რომ აჯობეს, მიხვდა იგი მინამს.

მზემ კი სათნო—ასულის მიანათა სხივი

და გაუთხო ჩრდილში მიღებული გული—

ვის ახსოვდა ღობე, უპატრონოდ ეგდო,

ხელიერ არვინ ახლო, ეგდო დაჟანგული.

ფრო—უამი კი არის ზეკრი რამის მომსწრე—

შორს მარქერალ თვალეზს კვლავაჲ აფახულებს.

ავ—ზოროტმა სულმა დროს თუ დაიგულა,

მისი მწარე მხამით კარგად დააპურებს“.

ზრჯყალებს ჩაასობს და დააყენებს გზაზე

საგზოად კი გაატანს თავის ზინძურ მიზანს,

სადმე გამოიჭერს მის ნაწადი ხერხით

ზენვის ხიდს მიმავალ გულშრყვილოო ხიზანს.

„შენ კი წუთისოფლად რომ არ დაიჩაგრო

ღმერთის ძალა გიწავს, როგორც მტკიცე ფარი“.

„კეთილ საქმეს“ მტერი მუდამ ჰყავდა შვილო,

შენ კი ზოროტეზას მიუხურე კარი.

სიტყვა საქმე იყოს, მიჰყევ ქრისტეს მწნებებს“,

მამა—ღმერთის თვლიერ აღარ მოგშორდება.

ავ—ზოროტი სული გაუმაძღარ გრძნობით,

ანა, შენთან ახლოს არც კი გაჩერდება.

მგია ჯიჟონია-მუშაკუდია

გილოცავთ! ციცინა ლატცულიანს!

გილოცავთ დაბადების დღეს,

ძაბთუელ ძალბის ხიბლი და ცვირთი აბ მთგლობდის!

„ახალი ლეჩხუმი“
ბრეაქცია

ქალი-სიბოძის და სიყვარულის მასწავლებელი



გვითხრა: „ადგილი დავუთმე ჩემზე ღირსეულ ახალგაზრდებს“.

კოლეგები დღესაც სიამოვნებით იხსენებენ იმ დროს, როდესაც „სახელი ლამარა დოლიძე“ აძლიერებდა ცაგერის სკოლას, მის მეგობრებს, მოსწავლეებს, მათ ზრდიდა სიკეთის, უმფოთველობის, სათნოების, კაცთმოყვარეობის იდეებით, უნერგავდა რუსული ენის სიყვარულს. მის გვერდით ვმუშაობდი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მოსწავლეები და ბევრი რამ მასწავლა მოსწავლეებთან ურთიერთობაში.

მაღალი ხმით მინდა ვუთხრა მადლობა ლამარა მოსწავლეებს, როგორც ჩემი სამი შვილის აღმზრდელს, რომელმაც საუკეთესოდ შეასწავლა მათ რუსული ენა. სათნოებითა და ღმობიერებით ავსებდა ერთადერთ ვაჟს-გაგას ის დედის გზას ღირსეულად აგრძელებს.

ვალმოხდილი მოსწავლეები მშვიდად ისვენებს ოჯახში, საყვარელ ქმარ-შვილთან ერთად. „ცაგერის საჯარო სკოლის მოსწავლეები დოლო ასლანიკაშვილი.“

და მაინც, ქალი უპირველესად დედაა, ეს მისი ცხოვრების მიზანია, ქალი ოჯახის ძირითადი ღერძია, ქალი-მეუღლეა. რა არის მთავარი იყო კარგი დედა, მეუღლე, ოჯახის ძირითადი საყრდენი, თუნდაც კარგი დედადმოდი. აქაც გადამწყვეტი როლი ღამარა მასწავლებელმა ქალს მიანიჭა, დედამთილს-აწ გარ-

კარგ მეზობელთან სიახლოვე-კაცის ბედია-ამბობს ბერძნული სიბრძნე, როგორია ჩვენი მოსწავლეები, მეზობლის თვალთ დაინახული? „ლამარა დედა საოცარი პიროვნებაა, ბრწყინვალე მეუღლე, დედა, დედამთილი და ბებიია, ქალი-სიბოძისა და სიყვარულის მასწავლებელი. არაჩვეულებრივი იყო, როგორც კოლეგა, დღესაც მაძლევს რჩევა-დარიგებებს. გული სულ მისკენ მიმიწევს, ნებისმიერი სატკივარის მალამოა მისი ტკიბილი სიტყვა. ყოველთვის ცდილობს გამიკეთოს, ის რასაც ჩემი დედა და დედამთილი გამიკეთებდა, (ცოცხლები რომ იყვნენ). ძალიან მიყვარს ლამარა დედა, მოუწყენლად შემიძლია ვილაპარაკო მის სიკეთეზე, ვუსურვებ ღმერთმა დიდხანს და კარგად ამყოფოს ამ ქვეყანაზე“—მარინა უგრეხელიძე. ცაგერის საჯარო სკოლის პედაგოგი.

საინტერესოა, როგორ აღმოჩნდა ქალბატონი ღამარა, სრულიად სხვა კუთხის შვილი ლენხუშში, პატივსაცემი, ღირსეული ოჯახის რძალი. ეს დიდი ხნის წინ იყო, სტუდენტობის მეგობრებთან ცაგერში სტუმრად მოსული, სრულიად შემთხვევით შეხვდა ღამარა მოსწავლეებს, სტუდენტი გოგონა ძალიან მოეწონათ და ჩანაფიქრიც გაჩნდა მომავალ რძალზე, უარიც არავის უთქვამს, განა შეიძლებოდა ღამარა გელოვანისთვის ვინმეს უარი ეთქვა რძლობაზე. თუმცა ღამარა გიორგვენაც არ იყო ურიტო ოჯახის შვილი. მამა-გიორგი დო-



დაცვლილ ქალბატონ ღამარა გელოვანს. „თუ ოჯახში ისეთი დედამთილი დაგზავდნენ, როგორიც ჩემი იყო, დაბრკოლებებს იოლად გადალახავთ, მე საკუთარი შვილივით ვიყავი დედისთვის, ერთად ვსაუბრობდით, ჩვენი აზრები ყოველთვის ემთხვეოდა, ბავშვი რომ შეგვეძინა მთელი პასუხისმგებლობა მან აიღო, დღესაც ჩემი შვილი ბებიას თვლის მეორე დედად. ურთიერთობის დროს უცხო იყო სიტყვა უპატივცემულობა, ყველაფერი ემყარებოდა სიყვარულს, იქნებოდა ეს ადამიანის, წიგნის, სპორტის თუ სხვა და სხვა.“

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბედნიერი ქალი ვარ, მყავს მეუღლე-კუკური გაბიანი, მე მისგან არცერთი საწყენი სიტყვა არ მახსოვს, უბედნიერესი დედა და დედამთილი-გაგა, ღვთისწიერი და ყველასათვის სასიყვარულო ადამიანია, მისი მეუღლე —ლიკა სამი წლის წინ შემოფრინდა ჩვენს სახლში მშვიდობის მტრედად, სათნოების და სიკეთის განსახიერება. უყვარს ოჯახის ახლობლები, სტუმართმოყვარეა, იცის საოჯახო საქმეები, არის კარგი მეუღლე და დედა, ვაჟკაცს უზრდის სამშობლოს. გაბიანების გვარის გამგებლები ბაბუის მოსახელეა, (კუკურის ვახტანგი ჭკვია) პატარას მოფერების ვაკოს ეძახიან.

ლიძე ცნობილი მექანიზატორი, იყო, არა მარტო საქართველოში, ყოფილ საბჭოთა კავშირშიც. დედა-ნატალია ჩქარეული დაწყებითი კლასების მასწავლებელი.

ოჯახიც მალე შეიქმნა და მას შემდეგ ოცდაათი წელი გაატარეს ერთ ჭერ ქვეშ. ორმა ქალბატონმა, ერთი უბრალო სიტყვა არ თქმულა მათ შორის, „გერდში მედგა ქალი, რომელსაც მშობელ დედად ვთვლიდი, მან ჩამომაყალიბა ისეთი, როგორიც ვარ,“—ამბობს ღამარა მოსწავლეები.

ღამარა გელოვანი ლენხუშის პირველი ექიმის თავად ასლან გელოვანის შვილი გახლდათ. ღამარა გაჰყვა ერმელე გაბიანს, რომელსაც საზღვარგარეთ ჰქონდა უმაღლესი განათლება მიღებული. აკაკი წერეთლის მოგზაურობის დროს რატა-ლენხუშში, ლენხუშის მაზრიდან ახალგაზრდა სტუდენტს დაავალეს სიტყვის წარმოქმნა, ეს ერმელე გაბიანი იყო.

(იხილეთ მ. ალავედის წიგნი, სურათზე აღბეჭდილია მისი სახე)

1937 წელს რეპრესიების დროს დახვრიტეს.

ქალბატონი ღამარა მამა სოსო გელოვანი პროფესიით ექიმი-გინეკოლოგი იყო. ყოველ მეორე დღეს ლეზულობდა ქალაქში დის წერი-

ქალი-სიბოძის და სიყვარულის მასწავლებელი

ლებს, მიეხედა ცაგერის საჯარო სკოლის. ახლა მისი შვილი და რძალი მუშაობენ ექიმ-პედიატრებად, ასლან გელოვანი, ნინო ავალიანი და ისინი ხედავენ აქაურებს. ლილი გელოვანი ჟენიას და პირველი მოჭადრაკე ქალი ყო საქართველოში, ქალიშვილი მანანა ტოგონიძე ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონია. დღეს მეუღლესთან, პროფესორ ოთარ დუდაურთან ერთად მოღვაწეობს. ჟენია გელოვანის დისშვილები იყვნენ ცნობილი მსახიობები გოგი და მერაბ გეგეჭკორები, მძიმეობები ფილმების რეჟისორი ავთანდილ (ბაგულო) გელოვანია, ცისანა გელოვანი სუბინჟიერების ანსამბლში მოღვაწეობდა 30 წლის მანძილზე. მარშალი არჩილი გელოვანი მეორე მამა ჟენია მოსწავლეების, არჩილის მეუღლე ქეთევან ალხაზიშვილი პროფესიით ექიმი იყო, ვაჟიშვილი ვიქტორ გელოვანი აკადემიკოსია, მეუღლე ნანა ანჯაფარიძე ექიმი, ჰყავთ ერთი ვაჟი-არჩილ ვიქტორის ძე გელოვანი, რომელიც ღირსეულად აგრძელებს მამა-პაპათა ნაკვალევს.

დაუვიწყარია ღამარა მოსწავლეებისთვის ის დღეს, როცა ოჯახში საქალაქთაშორისო ზარმა გაიწკრილა. „მოსკოვიდან რეკავს არჩილ გელოვანის მეუღლე, გავიხარეთ ძალიან. დედას უთხრა ელაპარაკე „არჩიკოსო“.

„ჩემო ჟენიკა როგორ ხარ? ჩამოდი მოსკოვში პუშკინის მუზეუმს გაჩვენებო. (იცინოდნენ).

—მარშლის წოდებას მანიჭებენ და დაბადების მოწმობა არ მაქვს, ნახე, მანდ იყოს, ამ ცოტა ხანში ჩამოვალ საქართველოში. ენახავთ ყველა ერთმანეთს. თუმცა მას აღარ შეეძლო თავისუფლად ყოფნა პრეზიდენტის გამო, ის თავის თავს აღარ ეკუთვნოდა. მოწმობა აქ იყო და გაუუგზავნეთ“.

მისი გარდაცვალების შემდეგ საქართველოში მეუღლე ჩამოვიდა ვაჟიშვილთან ერთად. ჩვენი რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ შესანიშნავი ღონისძიება გამართა მათ პატივსაცემად.

მარშლის სახლ-მუზეუმს სპათაგორში ღამარა მოსწავლეების ოჯახი ეფერება და უვლის, მათი ჭირი და ღვინი ერთია, ისინი დღემდე რჩებიან სანიმუშო ნათესავებად და მეგობრულ ოჯახებად.

ძველებურად სულგანაბული ვუსმენდი მრგვალ მაგიდასთან ღამარა მოსწავლეების ღია გაკვეთილს, თემაზე-სათნოება, სიკეთე, სიყვარული. ჰყვება ლადა, ამაყად დიდი ოჯახის დიდ ისტორიებს, იხსენებს მის განვლილ ცხოვრებას სკოლაში თუ სკოლის გარეთ. სათუთად ეფერება მისაღოც ბარათებს, ის დღესაც უამრავი მოსდის სხვადასხვა დღესასწაულზე მისი ყოფილი მოსწავლეებისგან. მათი უმრავლესობა თანამდებობის პირია-აკადემიკოსები, პროფესორები, ექიმები, ჟურნალისტები, მასწავლებლები არიან, მძღოლები, რომლებიც ანთებული თვალებით უშვებენ და ეფერებიან დღესაც ყოფილ მოსწავლეებს, არ ავიწყდებათ პედაგოგის ამაგი, კეთილ სამსახურს არ იშურებენ მისთვის, „ამაზე მეტი რა უნდა უნდოდეს ჭალარა შერეულ მოსწავლეებს“—ამბობს ქალბატონი ღამარა. უსურვებს მათ სიმშვიდეს და ბედნიერებას საკუთარ ოჯახებში, უღრუბლო ზეცას, მოძღვრავს სიტყვებით რასაც დღენიადავ ჩანჩინებდა მათ. „მოსწავლეთ მოთმინება ისეთი, როგორც მე ვითმენდი თქვენგან და არაოდეს ჩავარდებით უხერხულ მდგომარეობაში, გახსოვდეთ

„ნუ ელი წყნას,“ ნუ მოელი ქებას შენ ჯილდოდ, გულგრილად შეხვდი შექებას და ცილისწამებას და კაცსა ბრძეფსა არასოდეს არ შეეჭოდ“ ა. კუპჩიკი.

გაბა ბენდელიძე

ამ სრული სიყვარულია

მომსახურება

ახალს არაფერს ვამბობთ—ქალაქის რესტორნის შენობა ნლების მანძილზე მიტოვებული იყო, გაძარცვულ-გავერანებული. ბევრი შენობა დღესაც ასე გამოიყურება და გულს გვტყენს—შენება და კეთება თქვი, თორემ ნგრევას რა უნდა.

მადლობა უფალს, რომ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც მოიფიქრეს შეისყიდონ ასეთი შენობები, აღადგინონ, კეთილმოაწყო, სასიკეთო საქმისკენ მიმართონ.

კარგა ხანია ქალაქის ყოფილი რესტორნის დარბაზში ღვინისა და ჭირის სუფრები იშლება, რაც ნამდვილად დიდი საშუალებაა ჩვენთვის. მაგრამ ამას წინათ—ახლობლის დაკრძალვის სუფრაზე დარბაზის ხილვამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: აქ სრული კომფორტია, თუ უფრო დავკონკრეტდებით—თანამედროვე იატაკი, პანოებით დამშვენებული კედლები, ჭალები, ხარისხიანი ჭურჭელი, დგამ-

ავიჯი-და ეს ყველაფერი სულ ცოტა 400-500 კაცზე.

სამზარეულოშიც ნორმალური პირობებია, არის წყალი, სრული ფართობი. მალე ცხელი წყლითაც იქნებაო სამზარეულო უზრუნველყოფილი.

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შემკეთების თქმით, მომსახურების ფასები, ასე თუ ისე, მისაწვდომია.

ნანახით აშკარად კმაყოფილი დავრჩით და დარბაზის ერთ-ერთ მფლობელთაგანს მადლობა გადავუხადეთ.

მადლობა ამ დარბაზის ყველა მეპატრონეს.

ღმერთმა ღვინი არ მოგვიშალოს! და რესტორნის კეთილმოწყობილი დარბაზი სრული სერვისებით გაგიმასპინძლებდეთ.

რედაქცია

ჩვენი სოფლის ივანე ჩინი ხუროთკმ ეფიქრებს



რვა აგვისტოს ქვეყანაში
გლოვის ზარმა ჩამორეცა.
ქართლში მტერი მძევინვარეზდა
ძნელდებოდა ქაში გვედგა.
ჩრდილოეთი მეზობელი არ გვინდობდა
გვლევდა, გვწენდა.
ღმერთისაჲ არ ეძინოდა:
ედემის ზღის ის არბევდა.
ამ ზრძოლაში დაილუპა
უამრავი ვაჟი-კარი.
ჩვენი სოფლის შვილი იყო
გმირი ერთ-ერთი მათგანი.
ჰარს პირველი მიუძღვოდა,
განდულო, მხნე, ვაჟკარი.

რუსი ხალხის ცეცხლის ნვიძამ
შეინირა ის სანყალი.
მანამდე თუ ჩვენი სოფლის
სახელს ვერსად მოისმენდით,
დღეს ზურგის ღვანჯლა აფასებს
მთელ ხალხი, მთელი ერი.
ჩხუტელის გმირი გაუზრდია,
დიდებული მშვენიერი,
ყოველი მხრით გაიძახის
რაჯველი თუ ლეჩხუმელი.
ზიჯოვ, სამშობლოდ დაიწვ.
ჩხუტელისგან გვასახელო.
ჩვენ კი მაინც გვსაყვედურობთ.
ჩვენგან სწრაფად რაფ ნახველო?...
თუ აქამდე იყავ მხოლოდ,
შენ ოჯახის ვაჟიშვილი,
ახლა გახდი სოფლისა და
მთელი ქვეყნის თვალისჩინი
ღმერთო?! შენაირი ხალხი
გაუმრავლო ქართველ ერსა
აი! მაშინ კი დავაღწევთ
თავს დღევანდელ განსაყდელსა.

ნათიბ აბირაზიშვილი

გახსენა



ბაბულის ვარლამის ასული მაჭარაძე-ირემაძე და მიხეილ პეტრეს ძე ირემაძე, უფროსი და საშუალო თაობის ადამიანებს მათი პიროვნებები კარგად ახსოვთ, იყვნენ რაიონის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. ქვეყნის, რაიონის, ოჯახის ერთგულები. მიხეილი იყო დიდი სამამულო ომის და შრომის ვეტერანი. გამოირჩეოდა თავისი კულტურით, განათლებით, ჩაცმის სტილით, ფლობდა მრავალ პროფესიას. იყო პედაგოგი მსახიობი, სპორტსმენი, მხატვარი, მოცეკვავე სახალხო მთქმელი. 1940 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ცაგერის საშუალო სკოლაში. დაამთავრა წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი დაჯილდოებული იყო სამამულო ომის მედლებით და ორდენებით. ომის შემდეგ მუშაობდა ცაგერის სპორტ სკოლის დირექტორად, ცაგერის რაიონის სახლმმართველად, ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარედ. მუშაობის პერიოდში მიღებული აქვს მრავალი საპატიო სიგელი, ჯილდო.

ბაბულის დაამთავრა თბილისის საბჭოთა ტექნიკური, 1936 წელს, გაანაწილეს სამუშაოდ ცაგერში დაინიშნა ცაგერის პოლიკლინიკაში ბავშვთა კაბინეტის პატრონაჟის დანდ (ექთანად) 1938 წელს შექმნეს ოჯახი ქალბატონმა ბაბულის და ბატონმა მიხეილმა. ბაბულის გახლდათ თავმჯდომარი, ღირსეული ყველსათვის საყვარელი ადამიანი, საზოგადოებაში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. ბავშვების სიცოცხლის სადარაჯოზე მდგომი ერთგული სამშობლოს, სამსახურის, თანამშრომლების, ოჯახის, ნათესავების, და მეზობლების. ფეხდაფეხ შემოვივლიდა ბავშვების სოფლებს ჭალისთავს, გვესოს, ქვ. ცაგერს, ცაგერს. უკეთებდა აცრებს, ურიგებდა წამლებს, მთელი თავისი ცხოვრება ემსახურებოდა ბავშვებისა



და დიდების ჯანმრთელობას. ომის პერიოდში მუშაობდა საავადმყოფოში უხელფასოდ მორიგე ექთნად, უვლიდა დაჭრილებს. მიღებული აქვს მედლები, სამკერდე ნიშნები, ორდენები, ბაბულის, როდესაც თვითონ იყო მძიმე ავადმყოფი, მაინც სხვის ჯანმრთელობაზე ფიქრობდა, ზრუნავდა. უნდოდა სიცოცხლე და თავისი შვილიშვილებიც დაეზარდა. მისი პირველი შვილიშვილი მიშკო 5 თვის იყო, როდესაც ბაბულის გარდაიცვალა. ახლა მისი ნაფერები მიშკო 4 თვეა ბებია-ბაბუასთან არის სამუდამოდ. ბაბუას უხაროდა მიშკო მე მგავს ნიჭიერებით, დაკვირვებით, საქმის მოყვარულობით. ამბობდა -გამოადგება ოჯახს, რაიონს, საქართველოს. მიშკო დაპირებული იყო ბაბუამისს, რომ მისი ლექსების კრებულს გამოსცემდა. მართლაც გამართლდა ბაბუას ნათქვამი. მიშკომ თავისი სწავლით და შრომით მიაღწია ასოცირებული პროფესორის წოდებას; მაგრამ ვაი, რომ ხანმოკლე სიცოცხლის გამო ვერ მოასწრო გამოდგომა სამშობლოს. ქალბატონი ბაბულის ცხედარი ცაგერელმა ქალბატონებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა თანამშრომლებმა, ნათესავებმა მეზობლებმა გასვენების დროს თავიანთი მხრებით მიაცილეს უკანასკნელ განსასვენებლამდე, მისდამი უდიდესი სიყვარულისა და დაფასების ნიშნად.

დაბადების დღეს კულოცავთ! სანთელი და ნათელი მათ ხსოვნას, საუკუნო არდავიწყება. სამოთხე და სასუფეველი, ყოფილიყოს მათთვის:

შვილები ცირა, ცისმარი, შვილიშვილები ნატო, კახა, სიმეები -მურთაზ ჭელიძე, ვალერი წულაძე.

იოდნა დაიზრდა ჩვენი ჩვენი ნოხჩი ხელოვანები



ჩვენს რეალობაში არსებობენ პატარა ხელოვანები, რომელთა შემოქმედებითი ნამუშევრები დიდ ნარმატებებს უნინასწარმეტყველებენ მათივე ავტორებს. ესენი ცაგერის სამხატვრო სკოლის აღსაზრდელები არიან—თავიანთი ფერწერული ნამუშევრებითა თუ სხვადასხვა დახვეწილი ნაკეთობებით. (ხელმძღვანელი გია დავითულიანი) შეუძლებელია ტილოები ნახო ემოციის გარეშე. ამ ბავშვებს უყვართ საქმე, რომელსაც აკეთებენ, გულსა და სულს აქსოვენ თავიანთ ნამუშევრებში, იხარჯებიან.

ბესო ხეცურიანი, ქეთი მურცხვალაძე, შოთიკო ლიპარტელიანი, დათო კოპალიანი, ნიკა ბენდელიანი, სალომე და მაგდა ცხვედია—საუკეთესო ფერწერული ტილოების ავტორები არიან.

თინიკო ლარცულიანი, ანა კალანდაძე, თათიან გვიშანი, ნინო ხმელიძე გამოყენებით ხელოვნებაში ქმნიან ბრწყინვალე ნაკეთობებს.

გთავაზობთ მათი ნამუშევრების ფოტო კოლაჟს.

იკა ბენდელიანი



კაცი, ბიძა, ბიძა, ასე დაგვაკლდა

სულიერი სილამაზის, სიმშვიდის, სიკეთის, თავმდაბლობისა და კეთილშინდისიერების განსახიერება იყო ჩვენი—როინ კოპალიანი.

იგი ლენხუმის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში—ზარაგულაში აღიზარდა. აღიზარდა უმშვენიერესი ბუნების აღქმის უნარით. მას ზომ სხვაგვარად შეეძლო დაეინახა და შეეგრძნო უფლის მიერ შექმნილი სამყაროს მშვენიერება. ყოველივე ტილოზე აღებუდა და ყველასათვის გაეზიარებია. იყო საოცრად კეთილი პიროვნება, ყველას გაჭირვების გამოზიარებელი და დამხმარე, მას უბადლოდ შეეძლო ეკეთებინა ირგვლივ მყოფთა საქმე და ამის შესახებ საუბარი არასოდეს არ სურდა. იყო უფლის მიერ დაჯილდოებული მხატვარი. ცაგერის სამხატვრო სკოლის სული და გული. უსაზღვროდ უყვარდა მოსწავლეები. მათთან მუშაობისას თავს ძალიან ბედნიერად გრძნობდა. ბავშვებთან თვითონაც ბავშვად იქცეოდა და შეეძლო მთელი დღე თავაულებლად ემუშავა-პატარების გვერდით. ამიტომაც იყო ალბათ, რომ ბავშვებით მიმტევებელი ხასია-

თი ჰქონდა, უფალი ზომ ამის შესახებ შესანიშნავად გვასწავლის: „ემსგავსებით ბავშვებს, რათა დაიმკვიდროთ სასუფეველი ღვთისა“.

ალბათ ასეთი სრულყოფილების ნიშნად გამოარჩია უფალმა, რადგანაც იგი მართლაც რომ სულიერად დიდებული ადამიანი იყო—სულით წმიდა და გულით კეთილი“.

უსაზღვროა შენი მონატრება, ჩვენი ლამაზო მეგობარო!—როინ! ძნელია შენთან განშორება, რომ ვერ ვხედავთ შენს მუდამ ლამაზად მომღიმარ სახეს, მაგრამ ყოველ წუთს ვგრძნობთ შენს სულს მუდამ ჩვენს გვერდით მყოფს და მოფუსფუსეს. არ არსებობს შენი მეგობრებისა და მოსწავლეთათვის დღე, რომ არ ახსოვდეს მათ. მარად იცოცხლებს შენი სახელი ჩვენს სკოლაში.

40 დღე გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი და უდიდესი ტკივილი დატოვე ყველას გულებში. ვიმედოვნებთ, რომ უფალი შეისმენს ჩვენს ყოველდღიურ ლოცვებს და შენს ლამაზ სულს დაგიმკვიდრებს სასუფეველში.

გალერეისა და სამხატვრო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

რედაქტორი

თამარ

დავითიშვილი

პასუხისმგებელი

მედიანი

მეხვედარი

ქედიკაძე

სარედაქციო კოლეგია:

იკა ყვირილიანი

მარიონ სპინიძე

იკა ბენდელიანი

მისამართი:

ცაგერი, რუსთაველის
№47 პოზ: 899 951678

გაზეთი აიწყო, დაკაბდინდა და
ოცხტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის
„მის“
„ნიმდი ენ“-ის სტამბაში

ქ. ქუთაისი, ი. ქავჭავაძის გამზ. №33
ტელ: 23711, 23499